




№ 38 1916  
 კვირა, 26 აპრილი 1916

ც ა ს ი  
 12 კაპ

ქართული „თეატრი და სწავლება“  
 წლიურად 5 მ., ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლე-  
 გა ფოსტით: თფილს, რედ. „თეატრი და სწავლება“  
 იოს. იმედაშვილი. პირისპირ: „სოციალური“-ს. სტამბაში.

წამლ. იმოს  
 ზამთრის

*Handwritten notes:*  
 „საბჭო“ პოეზიის  
 ნ. რიხიძის მიერ



ვალერიან გუნია  
 შიში ჯვადიკოფობის გამთ.  
 (იხ. აწვე ნომერში 8 გვ.)

# სოფელი

მიყვარს სოფელი.

ან კი შეიძლება, არ მიყვარდეს ის ადგილი, სადაც დაბადებულხარ და წამოჩინებულხარ, სადაც პირველად გაგდებია გონების კარი, სადაც პირველად გიხილავს ბუნება და გიგრიწნია მშობლის აღერსი, განგიცდია მშობლის სიყვარული!

მიყვარს სოფელი, უსაზღვრად მიყვარს მგარამ მარტო ამისათვის კი არა.

ქალაქში ყველა სადაც მიისწრაფვის, ყველა ჩქარობს, ყველა საათს დაჩერება, თითქმის ცაზვდ მზე აღარ ენთოს.

ქალაქი ბუნებას მოწყვეტალია, ქალაქში მზე დავიწყებულია. ქალაქი დასწეულია ნერვებ აშლილებით. აქ ახალგაზრდები უფვე მოხუცები არიან. აქ სიცილი სიცილს არა ჰგავს, მხიარულება მხიარულებას, მოსვენება—მოსვენებას და სადილი სადილს.

სოფელში ყველა საქმეს აკეთებს დინჯათ, იმედინათ, აულეღლებლათ, აუჩქა რებლათ. აქ საათს არაინ არ დაჩერება. ყველა ცას უყურებს და ცაზე კოხულობს დროსაც და ამიღსაც.

სოფელი ბუნებასთან არის შეკავშირებული. აქ ყველა მზესთან ერთად წამოდგება ლოგინიდან, ზზესთან ერთად წვება.

მზე რომ დამის მყუდროებას გააპობს თვისის სხივებითა და ცის ტატნობს ანთებს და ააფერადებს, გამოაღვიძებს, გააზხიარულებს, აამღერებს მთელ ბუნებას და შემდეგ თვითონ ამოგორდება ბრწყინვალე და მხიარული, განა უკეთესი სანახაობა კიდევ იქნება! ქალაქში სტუბება განა ამ სანახაობით? არაინ.

სოფელში-კი ყველა

სოფელმა არ იცის, რა არის ნერვების აშლილობა, აქ მოხუცებულნი ახალგაზრდები არიან.

— დავებრდი, ორმოც და ათ წელს გადმოვაბიჯე და აღარ ვარგავარო, ვაგონებთ ქალაქში.

— რა დროს სიბერეა, ჯერ მარტოობთ-მოცის წლისა ვარო, ვაგონებთ სოფელში.

აქ საქმის დროს ყველა საქმობს, უქმე დღეს ყველა მხიარულობს, ყველა იცინის, იმღერის, ქეიფობს.

ნამდვილი მუშაობა, ნამდვილი დასვენება, მხიარულება და ქამა სოფელში იციან. ამიტომ მიყვარს მე სოფელი.

და როდესაც ქალაქისაგან მოქანცული მოშლილი, უძილო, უშადო და უმხიარულო სოფელი მივაშურებ აქ მე ვპოვებ ყოველი, ვეს, რაც ქალაქმა წამართვა.

ამ იწდით, ამ რწმენით მივდიოდი წელსაც სოფელში, მაგრამ სოფელი ისე აღარ დამხვდა, როგორც დავტოვე.

ყველა მოწყენილი, ყველა დაღონებული, ყველა ჩაფიქრებული, ყველა აცრემლებული.

იმედინი თვალები, მხიარული სახე, მტკიცე ნაბიჯი—აღარ არის სოფელში.

ამინდი და უამინდობა, მზის ამოსვლა და ჩახვლა აღარავის აინტერესებს სოფელში. ყველა დაღვრემილი ჩაჩერება მიწას და აღარაფერი ეხალისება, სიმღერას ველარ გაიგონებთ სოფელში, ჩვეულებრივ მხიარულს, უღარდელს, მოხდენილსა და შეწყობილ სიმღერას, როცა მომღერალს ხვეწნა არა სქარდებოდა და სიმღერა თავისთავად, ბუნებური ჩოდ ებოდა

მაშინ სიმღერა, მხიარულება სოფლის მოთხოვნილება იყო.

დღეს თუ აქ იქ მღერაინ, უგულოთ, ნაძალადევით უხალისოთ, ისიც ხვეწნის შემდეგ.

— ვაი იმას, ვინც მოკვდა, თორემ ცოცხალს რა უჭირსო, იტყოდენ წინეთ სოფელში.

— ნეტავი იმას, ვნც მოკვდა და მოშორდა ამ წუთისოფელსო!—ამბობენ დღეს სოფელში

სწეულებით სოფელი ქალაქს დაემგზავს: გამრავლდენ შესვლალები და ნერვები აშლილები.

ზოგს ქრისტე ეზმანება, ზოგს სული წმინდა, ზოგს ღვთისმშობელი.

არ გეკონათ, რომ ნერვებ აშლილები მართა ახალგაზრდობაში იყო, — მოხუცებულშია ძალიან ბევრია და მერე ისეთ მოხუცებში, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ თუ დავეტაკეთ, კლდეს გავანგრევთო.

სოფელი რაც იყო, ის აღარ არის, გამოიცვალა სოფელი.

რამ გამოსცვალა?

სიმშლიმა?

სოფელში მართლაც სიმშლილობა.

გასულ წელს მოსავალი ნაკლები იყო, წელსაც ბევრგან, ზემო იმერეთში ოთხისუთი თვის სარჩო არ მოვა, მაგრამ სოფელში ფული ტრიალებს, მეტია საშოვარი.

— მივირის ბატონო, მეუბნებოდა ასი წლის მოხუცი, — ჩემს ახალგაზრდობაში იყო დიდი შიმშილობა, ფუთი სიმდი მანეთათ ფასობდა, მაგრამ ე მანეთი არსად არ იყო. ახლა ფუთი სიმდი ოთხ მანეთათ ფასობს და ხალხი კი ყიდულობსო.

ფულიც რომ არ იყოს სოფლის გულს სიმშლი ვერ გასტეხს! განა სოფელმა არა სთქვა: მუცელს აღორბე ღორია, აქორბე — ქორიაო.

— წელიწადი ურმის თვლივით ტრიალებს, მოვიტონ, თავს გავიტან როგორმ და მალე ახალი მოსავალი მომესწრებაო, იტყვიან ამისთანა დროს სოფელში.

სოფელი დაცალიერდა ახალგაზრდობა გავიდა და იარაღით ხელში შორს სადღაც ვილაკას ეომება, სისხლს ღვრის.

ბევრი იხოცება, ბევრი უჯო უკვლოთ იკარგება, იღუპება.

იქნება ამან გამოსცვალა სოფელი?

— სიკვდილი წერაა, ბატონო, მეუბნებოდა ერთი მოხუცი გლეხი, რომელსაც გერმანიის ფრონტზე ორი ვაჟიშვილი მოუკლეს ამ ერთ წელიწადში, — თუ ეს ეწერათ სახეშია და ამეხოცებოდნო.

— მაშ რასა სჩივი? ვეკითხები.

— იმას, შენი ქირივე, რომ ამდენი ხალხი იხოცება და ამ ჩვენ ქვეყანას რაი მერე?

— შენ მართალი ხარ, ჩემო ბერო (სახელია მოხუცის)! ამდენი ქართველი ახალგაზრდობა ეწირება მსხვერპლათ დიდი რუ-

სეთ-ს სახელსა და ღირსებას და ამ ჩვენს პატარა ქვეყანას რაი მერე?

აი რამ გამოსცვალა, აი რამ დააღონა სოფელი.

ქართველ კაცს სიკვდილისა არ ეშინია. სახლში სიკვდილს ომში სიკვდილი სჯობია, — სახელი მაინც დარჩებაო, ამბობენ სოფელში.

678368

ხალხს დაეკარგა რწმენა და ამან გაუტეხა გული.

სოფელი ვნახე უძალო, შიგ გავიარე უჯოხოვო, ნათქვამია. დღევანდელმა მდგომარეობამ ბევრს მისცა საშუალება სოფელში უჯოხით სიარულისა. დააარწმობენ სოფელში და შევიწროებულ ხალხს მოტყუებით უკანასკნელ ლუკმას აცლიან პირიდან.

განსაკუთრებით ისახელეს თავი ზოგიერთმა ექიმმა და კერძო ვექალმა.

განსაკუთრებით უსახელებია თავი ქუთაისის ერთ კერძო ვექილს, რომელსაც აგენტები გაუჩენია და ხალხს ტყავს აძრობს: გლობერნატორი ჩემთან ქამს ყველ დღე სადილს და ჯარისკაცობიდან დაგისწია.

მოხუცი ბერო მაქარაშვილი და გარსია ღამბაშიძე საჩხერის მხრიდან გაპოლიონ თვის შვილებს ქუთაისში, მიუყიდ-მოუყიდიათ, რაც კი ებადათ, მოუგროვებიათ თითოს ორმოც თუმნამდე და უფიქრიათ, იქნება ვიპატიოთ ჩვენი შვილებიო.

ქუთაისში გამბულან ამ კერძო ვექილის მახეში, წაუგლეჯია ორ ვესათვის ს მოცი თუმანი ისე, რომ სამართლის წინაშე ვერაფერს ვერ დაუშტკიცებო და, რამოდენიმე დღის შემდეგ კი, როდესაც მოტყუებული გლეხები მისულან და უთხოვიათ: ბატონო, ჩვენი შვილები ვერ დაიხსენი და ფულის ნაწილი მაინც დაგვიბრუნეო, (სახლიდან გამოურეკია ორივე,

დღეს ბერო მაქარაშვილი ავად არის  
ნერვების აშლილობით.

— იმს კი აღარა ვწუხვარ, რომ შეი-  
ლები წამივიდენ, — რაც ყველას თავზეა, იმას  
შეც გაუძლებ, — ნასწავლმა კაცმა როგორ  
იკადრა ამისთანა საქმეო, შამოჩიოდა.

— შე დალოცვილო, მე ჩემი გაჭირვე-  
ბა მაღვა, ჩვენებურმა ტალახადემ მიმასწავლა.

მაგისთან ნასწავლი ქუთაისის გუბერნიაში  
არ არიო, და თუ აღარც სირცხვილ-ნაპუსია  
და აღარც ნლობა, რა ვიციდიო.

ქუთაისის კერძო ვეკლებო! ვისაც თავზე  
ქუდი არ გეწვისთ, ვალდებული ხართ, შეერდეთ  
და განაძვიგოთ ის ამხანაგები, რომლებიც თქვენ  
გარცხვენენ და ჩირქსა გცხებენ.

მ. კ. მჭედო

# განცლა

ცის სივრცეში ციაგათ შლილს ცისკრის ყვავილს მიგვპარე  
მგზნებარ გულით აღდართულით აღტაცებთ ვუძღვენ კოცნა;  
აცახცახდა, აკანკალდა, ათრთოლდა და შორთო არე,  
ვით მზე-მთვარე, მოელვარე სხივთ ესრები შემომტყორცნა.  
დამწვა, დამწვა, დაჰიმონა!.. დამივიწყდა წუთით სევდა:  
ჩემი ქნარი ხმა ნარნაჩი სულ სხვა ჰანგზე აწკრიალდა.  
და გულს დაჭრილს და გულს, დასჯილს, ბედი შხამსა რომ ანთხევდა, —  
ეწვია მზე, ცეცხლის ფრთაზე შეისვა და გასრიალდა!..

მ. რუხაძე

# ლევან ბატონიშვილი

(გარდაცვლილი იხ. "თ. ც." № 37)

დავით ბატონიშვილი სწერს: „1802 წ.  
აღადგინეს ამბოხი კახთა და წარუენიღეს კაცი  
შეფის-ძეს იუღონს იმერეთს, რათა მოვიდეს  
კახეთს და ჭეონ მეფედ. მისრულნი ესე კანნი მე-  
ფისძეს ვახტანგთან დუშეთს, ამატა (ვახტანგმა)  
შისწრა ძმას თვისსა იუღონს, რათა მოვიდეს  
და ესეცა მწე ეუთს მას არაგვთა მხედრობათა.  
მსმენელთა რუსთა ტფილისით წარუღინეს დია-  
ნარაღ-მიამრა ტუჩკოვი, რათა შეიპყრან, და  
თანა წარტანეს თანხნიშვილი სოლომონ. მის-  
ულა მათი სტრა ვახტანგმა და გაიქცა, დუშეთით  
აღვიდა გუღამაყარს და მუნ გამაგრდა, გარნა ვი-  
ნითკან ხადხმა მუნეპურმა და აგრეთვე ფშა-  
ხევსურთადა არა მისცეს ზიორი, ამაღ უძალთ ჩა  
მოვიდა ტფილისს, და მატომარ ჭეჟეს რუსთა  
აუღაბრის სსახლესა შინა დუღოფლისსა ვიღრე  
მოსვლადმდე ციციანთავისს, ხალა მინ მწრაფელ  
წარუღინა რუსეთად. (მასალები სჯართ ისტო-  
რიისთავის, გვ. 64).

ორიოდე თვის შემდეგ კახელებმა თავის  
მეფედ გამოაცხადეს იუღონი და შეჭრულ  
მას გლეხები ამას არ იწყნარებდნენო. გამო-  
ძიებამ შეპყრობილებს აღმოუჩინა: ა) ხელის-  
მოწერა შესახებ მეფედ დადგინებისა ბაგრა-  
ტიონთა შთამამელობილამ, ბ) ამის შე-  
სახებ თხოვნა იმპერატორისადმი და გ) წერილი,  
რომელთან ერთად თხოვნა უნდა გაეგზავნათ  
გარსევან ქავჭავაძისთვის პეტრეს ქალაქს.  
ამას გარდა ყოველი მომხდარი ექნობებინათ  
იუღონისთვის და ვახტანგისთვის დუშეთს.  
ჯარები დიდრა კახეთისაკენ და დუშეთისა  
კენ. კახელები დაშინდნენ და იუღონსა და  
ვახტანგს აცნობეს წინაღული ჩვენი  
დადგენილება მეფის არჩევს შესახებ.  
გავაბათილეთო. ამასობაში ტუჩკოვი მივიდა  
დუშეთს. ვახტანგი გაიქრა გუღამაყარს. იგი  
ყველამ დასტოვა. გამოცხადა ტუჩკოვს და  
მან მოიყვანა ტფილისს, ს იდნაც წარგზავნეს  
რუსეთს და ივნისში 1803 წელს უკვე წარუ-  
ღვა ხელმწიფე იმპერატორს (ბუტკ., III, 369).

ბუტკოვი (სტ. II, გვ. 535—543): მანი-  
ფესტი რომ გამოცხადდა (12 ენკ. 1801წ.)

28 ივნისს 1802 წელს გულუბრყვილო ყაენი ბაბა-ხანი სწერდა იმერეთის მეფე სოლომონს და იუფონ-ხანს: „საქართველო ერანის თვითმპყრობელობის ნაწილია“ მეფე გიორგიმ და მისმა შვილებმა ღალატით და უგუნურობით მოიყვანეს რუსთა მცირე ჯარი თავიანთ საშველად და ჩააყენეს ტფილისში... მეფის-ძე იულონი ჩამომავალი საქართველოს მეფეთა, არჩეულია, ცნობილია და ჯერჩინებულა მეფის ხარისხით საქართველოში, და რადგან მისი დამტკიცება ეკითხება ჩვენს უმაღლესს კარს, ამიტომ ვუბრძანეთ უკვე ჩვენს ფირ-ყული-ხანს ჩვენის უძლეველ დაშქრით მიეშველოს იულონ-ხანს მის დასამტკიცებლად და მისთვის იქაურ მიწების დასაპყრობად და დასამორჩილებლად“ (ბუტკოვი, ტ. II, გვ. 528, ტ. III, გვ. 355).

ასე ფაქრობდა ბაბა-ხანი და ავიწყდებოდა კი, რომ ძალა არ შესწევდა გამკლავებოდა რუსთა ძლიერებს, რომლის ორიოდ როტის შეტევა, ისიც პ. ციციანოვის ხელმძღვანელობით ელეთ-მელეთს ჰგვრიდა სპარსთა უამრავ ურდოებს და რუსეთს ზედიზედ სძენდა სახანოებსა და სამეღიჭიკოებს,

თვით საგორებელს (იმერეთის მიჯნაზე) მდგომ „იულონ-ხანსაც“ შემოუარა (24 ივნ. 1804 წ.) ციციანოვის დასტამ, შეიპყრო და გაუყენა ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზას.

იულონი მიდიოდა ერევანს. ჩამოდგარა ულევს ეწერსა, ვლაც იმერელმა აცნობა სურამში მდგომ რუსებს მისი აქ ყოფნა. რუსები დაესხნენ 29 ივნისს განთიადს, დაუხოცეს მხლებლები თარხნიშვილი ტეტია, ჩერქეზიშვილი ფირან და ქეზელი დათუა ძითურთ. მერე მიესივნენ იულონს. ერთმა მოუღერა ხიშტი, მაგრამ გადაეფარა მისი ფარეში ხუცესი დავით აბაზაძე და იხსნა სიკვდილისგან, ამასობაში განივლტნენ მასთანავე მყოფნი მისი ძმა ფარნაოზი და მისნი ძენი ლეონ და ლუარსაბ. ფარნაოზი და ლეონ ჩავიდნენ აწყურს ლეკებთან, ხოლო მცირე წლოვანი ლუარსაბ მოვიდა ზურაბ წერეთელთან, რომელმაც შეიწყნარა იგი. (იხ. ჩვენის რედაქციით დაბეჭდილი მასაჟ. საქართ. ისტორიისათვის, შედგ. ჯავთი გიორგის-ძისა და მის ძმებისა

გვ. 73). 1805 წელს ფარნაოზი გამოჩნდა არაგვის ხეობაში. კახელებმა იგი მიატოვეს და მივიდნენ წინაშე ციციშვილისა. ფარნაოზი მათს გზით მივიდა მანავს, გარესჯას, გადავიდა ყაზალს და ავიდა სომხის სოფელს აღდანს ყაზახის მოურავმა სოლომონ ავალიშვილმა სცნა-რა მოსვლა ფარნაოზისა, სომხის დონ-ღუზჩიოდლის წინამძღოლობით თავს დაესხა დაღალულ ბატონიშვილს, შეიპყრა ფარნაოზი მის თავადებითურთ და მოჰგვარა პავლე ციციშვილს ტფილისს. იგი შეაგდეს საპყრობილეში და მერე იულონთან ერთად გაგზავნეს რუსეთს—ფარნაოზი ვარონეთს, იულონი—ტულას (იქვე, გვ. 75).

მ. ჯანაშვილი

მამალი და ძალი

(ბარაკი)

მამალი და ძალი დამეგობრდენ. სთქვეს, მოდი ერთი სოფელი ავაშენოთო. და წავიდნენ ერთ ტყეში. მამალი მალაღ ხეზე შემოჯდა,—ძალი კი იქვე მ.ხლობლად მიწვა და თავი მოიძინა.

მამალმა ყვილი დაიწყო. მელა იქვე დაიბადა.

— მამალო, აქ რამ მოგიყვანა? — შესძახა მას მელამ.

— სოფელი მინდა ავაშენოო—მიუგო მამალმა.

— მეც მიმიღე! — შესთხოვა მას მელამ.

— კარგი, მაგრამ ჩემი დივანბეგი მანდ არის და შეეკითხეს! — უპასუხა მამალმა.

მიიხედა მელამ გვერდით და მართლაც ვებერთელა ძალი კი დაინახა. ძალმა უახრა: — სიამოვნებით მიგიღებთ, მობრძანდით და ხელი მოაწერეთ, რომ არ გვიღალატებთ.

მელა მაშინვე მიხედა საქმე რაშიც იყო და ელვის სისწრაფით მოჰკურცხლა, ძალი კი უკან გამოედევნა.

როცა მელა სერზე ავიდა, იქიდან დაცივით გადმოსძახა: — მაგ ოსტატობით თქვენ რომ სოფელი ააშენოთ, მე ნუ გამიყოფთო.

ლ. ძიძიგური

# ს ა ბ ა

ვენახში მხიარული ფაცა-ფუცია. ქალე-  
ბი და ვაჟები ხითხია-კისკისათ არამევენ ერთ-  
მანეთს პატარა კალათებს და გოდრებში  
სკლიან; ბავშვები იზმუნებიან ყურძნით და  
ცდილობენ უფროსებს არ ჩამორჩენ — ისინიც  
გამალებით ჰკრევენ. ბებერი ბაბუა სუსტ  
ფეხებს ველარ გადმოუყვანია ვენახში და რომ  
ვეღარაფერს ახერხებს ხელით ვაკეთოს, ერთ  
ეხმარება ნადს—გაპივის:

— აბა, თქვენი ჭირიმე არ მოუწყინდეთ,  
დაუჩქარეთ, მზე იხრება... ცოდვია გამოკრე-  
ფილი ვენახის დატოვება.

— ამიწიე კაცო, — უძახის ერთი ბიჭი  
მეორეს...

უკანასკნელი ყურადღებას არ აქცევს.  
გოგო დაუძახებლათ ეხმარება.

— შენს ქორწილზე კი ვიცევებ, ირი-  
ნე, პატარა მაიძუნივით. ნიშნად მადლობისა  
ამბობს ბიჭი და გარბის.

ახალგაზდა ბიჭებს თითქმის არ ამძიმებს  
ბეჭზე გადკმული ყურძენი, ისე ქარავით  
გარბიან მარნისკენ და ისე მხიარულად იწმენ-  
დენ ოფლს, როცა უკან მორბიან ცარიელ  
გოდრით.

საწახელი საესეა. სახლის პატრონი  
დიდი უროთი ქექუს ყურძენს, რომ ჩაატიოს  
დანარჩენი.

უხვია მოსავალი, დალოცა ღმერთმა წრე-  
ულს მუშაის ხელი.

გოგოებს ენაზე აკერიათ სიკო, თედო,  
ფილიპე. ისინი არიან არჩეულნი.

— სიკო კალათი დამიცალე...

— ფილიპე ე ხარდანი ჩასვი წამეიქცა  
ვენახი.

— თედო, სიკო გიძახის გოდორი  
ამიწიეო...

გოგოთა შორისაც არიან არჩეულნი:  
თითქმის შავი ღრუბლები მთვარეს ირგვლივ  
ნავარდობენო, ჯმუხი წვირ უღვაშ აყრილი  
ბიჭები თავს დასტრიალებენ ქერა ქალის-  
შვილს. დაიხრება იგი ვაზის ძირში დარჩე-  
ნილ მტევნის მოსაწყვეტათ, — ვინმე მოასწ-  
რებს და თვითონ მოსწყვეტს; გაუჭირდება

ვაზის გადახლორთულ ყლორტებში გასვლა, —  
მარდად გასწყვეტენ გადახლორთულ ღერწს  
და გაუკაფავენ ვაზს; კალათის გაგებას ხომ  
არავენ აცლოს, ისე სიჩქარით ჩამოართმევენ...  
და მთელი ეს ცდა ჯილდოვდება, მხოლოდ,  
ხელის ხელზე ოდნავის შეხებით, მადლიერის  
შეხედვით, ტყე წამწამის ბალახად აბიზინე-  
ბით. ირინესაც არ სტოვებენ უყურადღებოდ...  
მაგრამ ირინე ამხანაგურ-მეგობრულის ქცე-  
ვით იზიდავს.

თალიკოც მუდამ გარს შემოხვეულია,  
მაგრამ თალიკო ენა მახვილია და მასთან  
ხითხოთი აჩერებს ბიჭებს.

ქერა ქალიშვილი ნახვეწი აბრეშუმის  
თმინი, ლურჯ დიდ თვალებიანი, მადალი,  
არავის იზიდავს, არავის იწვევს, ძვირად ლა-  
პარაკობს... მაგრამ ირგვლივ უნებლობით  
უტრიალებენ.

სხვათა შორის საბაც...

საბა, უხერხულად შექმნილი ადამიანი,  
თავი დიდი აქვს, ტანი ფეხებზე ბევრათ გრძე-  
ლი. მსხვილი მკლავ-ბარკალი და დაბალი კი-  
სერი. მაგიერთ ღონიერია დათვივით... და  
დაუღალავი მეძებარსავით.

— საბა, შენ მაინც დაგვეხმარე, შიკაცო,  
— უძახიან მოხუცი და ხანში შესული ცალკე  
ჯგუფად მომუშავე დედაკაცები. მოგვიტანე  
ერთი გოდორი, ყველას ხომ მარინე ვერ  
ააესებს.

— ახლავე, ბიცოლა, ახლავე! — და სა-  
ბას მოაქვს გოდორი, სკლის შიგ კალათებს,  
დაუხმარებლად თვისის ძლის შეგნებით და  
გამოსაჩენად ყოყორბით, იგდებს ზურგზე  
და მანქვა-გრებით მიაქვს მარანში.

— საწყალი, პეტრე რომ უფრო მ ხერ-  
ხებული იყოს, ერთ ოჯახს მაგიც ქე არჩენდა.

— შე, ქალო, ახლა რა უქირს?

— ბეჩა, სალომე აბა ვინ წაყვება მაგას?..

— ისე იცოცხლე რომ წაყვება... შე  
დალოცვილო, ხომ უყურებ საკაცთი დეო-  
ლია... ძღაბები სოკოსავით იზღებინა და მ  
ბიჭები ზოგი ჯარშია... ზოგი სამუშაოში...  
გოგოების საცოდობა მკლავს... სარზე გედ-  
ეხევიან სხვა რომ არაფერი!..

საბამ გოდორი უკანვე მოიტანა, ვერ

თი ჰაერში შეატრიალა ხელის სიმარდის საჩვენებლათ და ისევ გოგოებისკენ აბრებდა წასვლას.

— მეიცა, შეკაცო, შენთვის არ ცალია ახლა მარინეს... ჩვენთან დარჩი, ჩვენ უფრო გამოგადგებით, უხუმრა ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა.

— შენ გაზღას აქანე ნამეტანი გაბურღულია ე ვენახი და მიწი-მოწი ე.

— ახლავე, ახლავე!—და საბამ საჩქაროთ გაწყვიტა ორ-სამს ადგილს ლერწი.

— საბა, ერთი თუ კაცი ხარ, გოდორი წვილე, — დაუძახა ფილიპემ.

— ბიჭო, შენ ვერ წვილებ?.. — შეუტია ბიცოლამ ფილიპეს.

— დევილაღე, შე ოჯახ-ქორო, ღმერთი არ არი?!..

— რა დევილაღე?! ლახლანდარობამ დაგღალა თუ?!..

— რაც ყურძენი იყო მე გაღვეტანე — ჩაურთო საბამ.

— თუ, დეიმაღლებოდი არც ქე შეგაწუხებდა? — უსაყვედურა ფილიპემ.

— არა, ა! — შერცხვა საბას, რომ ბიძის ნალში ზარმაცობა შესწამეს. — მე ისე ვთქვი... ჩემზე მტრია არავის უმუშავნია-თქვა, თვარა გოდორი შეიტა! — და გოდორი, რომელიც ფილიპიას უნდა აეღო, საბამ გაიგღო ზურგზე. ფილიპემ მხოლოდ ოდნავ აუწია.

\* \*

— მალე გაათავებენ? დაეკითხა საბას სახლის პატრონი, რომელიც საწნახელში უკვე ჩაუღიყო და ფეხით ზეღდა ყურძენს.

— ერთი მუხური დაგვრჩა წაბლთან.

— აბა, ჩეეტევა?

— უნდა ჩეეტოს... — და საბამ დაკვირვებთ გადახედა საწნახელს.

— უნდა ჩეეტოს!! იქინე ხარ და ვერ შეამჩნიე?

საბა დაბრუნდა. მამასახლისი საწნახელიდან ამოვიდა და ცოლს გადასძახა:

— სუფრა დაამზადე, საღაც არის გათავებენ და მოვლენ.

\* \*

საბა მივიდა ისევ დედაკაცებთან. — საბა გინდა ცოლის შერთვა?

— თუ ბაბუ იტყვის, რატომ არა? თავდაქერით უბასუხა საბამ.

— შერე რათ გინდა შენ ცოლი? — ოდნავის დამცინავის ღიმილით ჩაეკითხა ენა მწარე დედაკაცი.

— იმე, რატომ არ მინდა, — გაიფიქრა გულში საბამ და თვითონაც გაიღიმა.

— მე გავირიგებ ცოლს, ნუ გეშინია! — დაამშვიდა სალომემ საბა.

მოსაკრეფი ცოტა დარჩა ყველა ეჩქარებოდა. ლაპარაკს უკლეს. სიომაც შემოჰკრა.

— ერთა შეუტიეთ, ერთა და შერე ვახშამს მოუჯდეთ! — გაამხნევა სახლის პატრონმა ნადი.

— რა დროს ვახშამია?

— აბა უქმელს ხომ ვერ გაგიშვებთ, გინდ ვახშამი დაარქვით და გინდ სამხარი..

— კი გიმუშავნით — აგაშენოთ ღმერთმა გვარიანთაც მოგშივდებოდით.

ერთი კიდევ შეუტიეს და კრეფვა გათავდა. უკანასკნელი გოდორი მხარზე გაიგღო, ერთი მტევანი ხელში დაჰჭირა და ყურძენის ქაშით გაღმოვიდა საბა ვენახიდან.

— ბიჭო ასე ბაღნათ დაბერდები, — შეუბღვირა ბაბუამ საბას — სულ ყურძენს იბლოსნები: შე საკოდავო სხვებს ვერ მიხედავ მაინც... შენი ხნისაა სიღონე, მარა შეხედე პარველი მუშაა, დინჯი კაცია.

— მეც ქე ვმუშაობ, რას ჩამაცივლი? დაუღრინა საბამაც ბაბუას..

სამხარი ვახშამდ გადიქცა, დიდებულათ გაუმასპინძლდა ნადს მათე.

ყველას რიგ-რიგათ უსხამდა ღვინოს მათეს პატარა ბიჭი — გოგია. მხოლოდ საბა გამორჩებოდა ხშირათ და როცა საბა მოაგონებდა, ბოდისმაც არ მოიხილდა — ისე შეუფსებდა ვისმე ქიქს და უხეშად მიწოდებდა ყველას საღვეგრძელო დალია მათემ.

— ყველას მაღლობა უხარა კი მესობლობისთვის, შეკაცო, მუშაობა მოუწონა..

განსაკუთრებით ფილიპე აქო და ადიდა, იარის ხომ სასიძოთ უნდა, — ღმერთმა ხელი მოუშარათოს ისიც მართალია, რომ საბა მისწულია და დიდი მორიდება არ არის საქარო, თუ მერქიქეფე საკუთარი წილი, გოგია არ დაავწყდა, საბამ რა დააშავა?

— ყველას მაღლობა უხარა კი მესობლობისთვის, შეკაცო, მუშაობა მოუწონა..

განსაკუთრებით ფილიპე აქო და ადიდა, იარის ხომ სასიძოთ უნდა, — ღმერთმა ხელი მოუშარათოს ისიც მართალია, რომ საბა მისწულია და დიდი მორიდება არ არის საქარო, თუ მერქიქეფე საკუთარი წილი, გოგია არ დაავწყდა, საბამ რა დააშავა?

— ყველას მაღლობა უხარა კი მესობლობისთვის, შეკაცო, მუშაობა მოუწონა..

განსაკუთრებით ფილიპე აქო და ადიდა, იარის ხომ სასიძოთ უნდა, — ღმერთმა ხელი მოუშარათოს ისიც მართალია, რომ საბა მისწულია და დიდი მორიდება არ არის საქარო, თუ მერქიქეფე საკუთარი წილი, გოგია არ დაავწყდა, საბამ რა დააშავა?

— ყველას მაღლობა უხარა კი მესობლობისთვის, შეკაცო, მუშაობა მოუწონა..

განსაკუთრებით ფილიპე აქო და ადიდა, იარის ხომ სასიძოთ უნდა, — ღმერთმა ხელი მოუშარათოს ისიც მართალია, რომ საბა მისწულია და დიდი მორიდება არ არის საქარო, თუ მერქიქეფე საკუთარი წილი, გოგია არ დაავწყდა, საბამ რა დააშავა?

6. ლორთქიფანიძე (გაგრძელება იქნება)

### სიხუვა

როგორც მედროზე,  
 მკერდ-ხვითქიან ქუჩაზე მჯდარი,  
 ჰბელადობს ლაშქარს,  
 ალომგულებს ბრძოლისა ველად, —  
 ისე ვამხნეებ ჩემს შვიარდნებს,  
 მამაც ფრთიანებს,  
 ისე მიუძღვი  
 ჟვავ-ყორნების შესამუსვრელად!  
 გ. ქუჩიშვილი



პრპ. ლათიკო დიმიტ. ბზიავა თავ. ალექს. (სანდრო) ჩიქოვანი  
 (დაქრილია). (დაქრილია).

## ვაღერის გუნია ჯოჯინძა!

გამუდმებულმა, შეუსვენებელმა, მუშაობამა და ცხოვრების უკუღმართმა პირობებმა თავისი გაიტანეს, — ლომივით ვაჟკაცი — ვაღერის გუნია ძირს დასცეს და აგერ მეორე კვირაა ლოგინში წევს დავადმყოფებული....

ხომ გინახავთ სადარაჯოზე მდგარი გუშაგი: რაც უნდა საფრთხე ელოდეს მინდობილ ადგილს რომ ვერ გაშორებია?!

მუდამ ასეთი იყო და არის ვ. გუნია. იგი მუდამ თავგამოდებით ზრუნავდა ქართული სცენის კანდელი არ ჩამქრალა...

უკანასკნელად ბათომში გაიწვიეს ახალგაზდა მსახიობქალის ბენფისში მონაწილეობის მისაღებად. წასვლის წინაღღებში მსახიობი შეუქლოდ იყო, დაუშალეს: დეპეშით ვაცნობოთ რო ავად ხარ და ნუ წახვალო...

სიტყვა მიეცეო და ვერ გავტეხავო! — იყო პასუხი მსახიობისა.

და წავიდა ენკენისთვის 4 ბათომში წარმოდგენა დაიწყეს მესამე მოქმედების ბოლოს

ვალკოს გული შეუღონდა, — მოიხმეს ექიმი, დაუშალეს განგრძობა, მაგრამ, — მსახიობმა მინც თავისი ვალი მოიხდა დიდძალი საზოგადოების წინაშე, რომელიც თეატრში შეკრებულყო და კუყოფილიც დიშლა.

განა მაყურებელი როდისმე დაჰფიქრებია, სცენაზე მოხარხარე მსახიობს გულში რა ჯოჯოხეთი უტრიალებს? — არასოდეს. არც ვ. გუნიას შინგან — შინაურ მდგომარეობას ჩაჰკვირებია.

მსახიობი თბილისში დაბრუნდა და მას დღეს აქეთ ლოგინადაა ჩავარდნილი, დროგამოშვებით ექიმი შ. მიქელაძე დახედავს ხოლმე. მაგრამ ნუ თუ მხოლოდ ამითი ემკურნალება ავადმყოფ მსახიობსა და მის მრავალრიცხოვან ოჯახს?!

მას ესაქიროება ბეჯითი მკურნალობა, დასვენება და ცხოვრების სახსარი...

საქიროა ამაზე დროით ვიზრუნოთ.  
 იოსებ არიმთიელი



**ს. ცაიშის დრამატული წრე.**

ორი წელიწადია, რაც სოფელ ცაიშში (ზუგ. დიდის მარჯვენა მხარე) ბედგა ავგილობრივ მკვიდრთა მიერ სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც ენერგიულად ეწახურება თავის მიზანს. მთელ სამეგრელოში იშვიათია ისეთი სოფელი და თვით დაბაც, სადაც ასე ხშირად იმართებოდეს წარმოდგენები, როგორც ცაიშში. ამ მხრით ცაიშმა მიიპყრო



თვით ზუგდიდლების ყურადღებაც, თუმცა ამ უკანასკნელთ არავითარი დახმარება და თანაგრძობა არ აღმოუჩენიათ მისთვის. ცაიშში წარმოდგენები იმართება უმეტესწილად მომავალ ბიზლიოთეკის სახარგებლოდ. ცაიშელებს განზრახვა აქვთ ააგონ საკუთარი შენობა ბიზლიოთეკისა და თეატრისთვის, რომელთა ფონდის განსაძლიერებლად კაი ძალა ფულია შეგროვილი. ამ რიგად ცაიში კულტურულად წინ მიდის, რასაც ხელს უწყობს მკვირცხლი და შეგნებული საზოგადოება და ინტელიგენცია. საქირთა ცაიშს მიბაძვდენ სხვა სოფლები და ხელს შეუწყობდენ კულტურულად ჩამორჩენილ სამეგრელოს პროგრესისაკენ მისწრაფებაში.

**3. ცაიშელი,**

**ი ი შ ლ მ ბ შ ლ ნ**

ისტორიული დრამა ერთ მოქმედებათ **ლ. ელიაშისა**, ნათარგმნა ძველი ებრაულიდან ქართველ ისრაელის **ნ. ელიაშვილის ბენ-დავიდის მიერ**

... და შენ უწყალოდ გტანჯეს, გაწამეს, შეუბრალებლად გიჯიჯგნეს გული, მთლად შეგიგინეს წმიდათა-წმიდა— შენ კი ითმენდი დაღუემბული.

შენ ღვთის სახელით გტანჯეს, გაწამეს— ვითომ „ის“ ასე მათ უბრძანებდა; მაგრამ მთ სასტიკ უღმრთო ქცევაზე, თვით სატანაც კი ცრემლებსა ღვრიდა.

**6. ელიაშვილი—ბენ-დავიდ**

შენ ისპანეთი ვარდთ გარდაჰქმენ, და ის კი შენთვის გარდიქცა ეკლად...

**ი ლ. გორდონი**

**მოამბედნი:**

**დონ ალონსო დე-მენდოსა** მდიდარი ვაჭარი მადრიდში, იძულებულთაგანი, ანუ ძაღვად გადარჯულეულ ებრაელთაგანი.

**დონნა ლაურა**, ამისი ცოლი.

**დიეგო**, ამათი შვიდი, 13 წ.

**კლარა**, ამათი ქალი, 12 წ.

**დონ იმანუელ**, პატრიარქული მოხუცი, იძულებულ ებრაელთაგანი, დიეგოს და კლარას მასწავლებელი.

**დონ ერიკას**  
**დონ ლაპეს**  
**დონ მენდეს** } საღვთის წარჩინებულთაგანნი მადრიდში, იძულებულთაგანნი

**ფერნანდო**, მოხუცი კაცი ტანდაბადი და სნეული, მსხურბობას ადონსოს სახლში.

**დონ როდრიგო დე-ვალერო**, ვაჭარი, კათოლიკე, ადონსოს მეზობელი.

**ენრიკო**, ამის შვიდი, 14 წ. დიეგოს და კლარის მეგობარი.

ძალად გადარჯულეული ებრაელები, კათოლიკეები, მდგდენი და შეიარაღებულნი ჯარისკაცნი. მოქმედება სწავრბობს ესპანიის სატანტო ქალაქ მადრიდში.

გამოქვამული ალონსოს სასლ ქვეშ. მაყურებელთა მარჯვნივ მოსჩანს კიბე, რომლითაც ჩამოდინან სახლიდან გამოქვამულში. ჭერში მოსჩანს ოთხ-კუთხად ამოჭრილი—ეს არის კარი, რომელიც იკეტება შიგნიდან მძიმე ურდულეებით, რის ხალხი იკრიბება გამოქვ ბულში. მაყურებელთა პირდაპირ სდგას წიგნების შკაფები. მარცხნივ—ედელოან სდგას დაბადების კიდობანი, მის გვერდით გამართულია „ტრიბუნა“. შუა გამოქვამულში სდგას დიდი ოთხ-კუთხი მაგიდა. ოთახის სიბნელეს ცვილის სათლემები არღვევენ.

**I**

**დონ ალონსო და დონნა ლაურა**

**დონ ალონსო** (შუა გამოქვამულში მდგარ მაგიდასთან ზის და წიგნის კითხვაშია გათუფლი, რომელიც წინ უძევს).

**დონნა ლაურა** (ზის მაგიდასთან ალონსოს პირდაპირ გულ-ხელ დაკრებილი, თანადუ-

ნული სახე ნადგდინი აქვს, ეტეობა მძიმე, სანწიხრად ფაქრებშია გათუფი. რავდენიმე ხანს დემილია. შემდეგ აიღებს თავს და მიაშტერდება ქმარს მღუმარედ) ალონსო! (აღონსის არ კისის და განაგრძობს წიგნის კითხვას გაუნძრევლად. უძახის უფრო ხმა მადლა). ალონსო! (კვლავ უკრთავს. უფრო ხმა მადლა) ალონსო!

**ლონ ალონ.** (გამაჟრკვევია, ახედავს და ცოცხს შეხედავს) რა გნებავს ჩემო ძვირფასო.

**ლონა ლაურა.** ჰმ...ჰმ... არასფერი. მე მხოლოდ ის მინდოდა მიკითხნა, ანაღამ აქ ბევრი ხალხი შეიკრიბება?

**ლონ ალონ.** ასე ათიოდე კაცი. სანოკავც რომ ათი კაცისა უბრძანე გამზადონ. (ხელ ახლად იწყებს წიგნის კითხვას, მსოფლად ერთ წუთს შემდეგ შეარედ ახედავს და ცოცხის ნადგდინი სახეს მზრუნველობით მიაშტერდება. შემდეგ ადგება და ცოცხს გვერდით მოუყვდება, ხელს დაუჭერს და ელაზარაკება მოწვევით). გა-მიგონე ლაურა!

**ლონა ლაურა.** რა?

**ლონ ალონ.** ეს რავდენიმე დღე დაკვირვებით გიყურებ და ვატყობ რომ ამ უკანასკნელ ხანში ძალიან გამოიცვალე. შენ სრულიად მოგმორდა მხიარულება და მის მაგიერ შავმა ღრუბლებმა მოიცვა შენი მშვენიერი სახე. არა, უეჭველად რაღაც გაწუხებებს და გულს გიღრღნის. მე, მე ხომ შენი ქმარი ვარ—ნუ თუ არ გსურს გამიმზილო შენი საიდუმლო და მითხრა გულის პასუხი; იქნებ შევძლო ნუგეზის ცემა და ნადველის შემსუბუქება.

**ლონა ლაურა.** (ეხვევა ქმარს და ხედავს კეკრის მღუმარედ).

**ლონ ალონ.** ან და იქნება ისეთი რამ გაკლია, რომლის მიღწევაც არ ძალგინს: გვედრები, ამიხსნა შენი სურვილი, და, თუ კი შემძლება როგორმე, გულის ნანდაბს შეგისრულებ. ნუ თუ არ იცი, რომ შენთვის, ჩემი საყვარლისათვის არასფერს არ დავზოგავ?

**ლონა ლაურა.** (თავს აქნევს უარის ნიშნად, თათქმის ჩურჩულით) არა, არასფერი არ მაკლია.

**ლონ ალონ.** იქნებ რამე ფთერაკი შემთხვათ შენს მახლობელთ ანუ ჩემინთ:

ინკვიზიციას ხელში ჩაუვარდნენ და შენ-კი მიმაღავ?

**ლონა ლაურა.** (კვლად თავს აქნევს უარის ნიშნად) არა, არა!

**ლონ ალონ.** იქნებ... (სწვეეტს ღაზარაკს, დაფაქრდება ერთ წუთს, შემდეგ გამოერკვევა, სუვედურით) ან იქნებ მწარე იქვი აღგებრა და ის არ გასვენებს? იქნებ რწმენა შეგერყა და აღარა გაქვს იმედი უფლის შემწეობისა, რომ ბოლოს-მარც გვიხსნის ამ ლომის კბალებიდან, ამ სისხლით შესვრილი ქვიყნი-დან, რათა შეგვეძლოს თავისუფლად ვიცხოვროთ ჩვენი სარწმუნოებით?

**ლონა ლაურა** (აწვეეტისკის) არა, არა!.. ოჰ, ჩემო ძვირფასო, ეგ არ არის ჩემი გამამწარებელი. ჩემი რწმენა ჩვენი ღმერთისადმი არ შეტყუელო და არც იმედი დამკარგვა. კვლად მხათა ვარ ყოველ დღე, ყოველ წუთს თავი გავწირო ჩვენი სარწმუნოებისათვის, მაგრამ...

**ლონ ალონ** მაგრამ?

**ლონა ლაურა.** მაგრამ მე ვზრუნავ ჩვენი ძვირფასი შვილებისა და მათი ცხოვრებისათვის. ეს რავდენიმე დღეა გული რაღაც დიდ უბედურებას მომისწავებს. ასე გონია; თითქოს რაღაც დიდი უბედურება დაგვტრიალებს თავს. მე მათრთოლებს და მაშინებს სულ მტირედი ხმაურობა—მოძრაობა, რომელიც კი ჩემ ყურამდე მოატანს. ისე მეჩვენება თითქოს, აგერ ინკვიზიციის წევრნი უკვე კარებს უკან სდგანან და არახუნებენ. ჩემი თავისა არ მედარდება, მე ის უკვე ღმერთს ჩავაბარე. შენც იცი როგორ უნდა უშიშრად სიკვდილი ჩვენი სარწმუნოებისათვის. მაგრამ ჩვენი შვილები, ეს პატარანი, რომელთაც ჯერ არასფერი არ იციან!.. ოჰ გული რაღაც უბედურებას მიგრძნობს...

**ლონ ალონ.** რათ ეძღვევი, ჩემო ძვირფასო, მაგისტანა ნადვლიან ფიქრებს? განიღვენე გულიდამ ეგ ფიქრები და ესავი ღმერთს: ის დაგვიცავს და დ გვიფარავს ყველა ბოროტ შემთხვევისაგან. (წამოადგება და წინ და უკან დადის, ფაქრებში გათუფი)

**ლონა ლაურა.** ეგ მართალია, მაგრამ ის უბედურებანი, რომელიც თავს ატყდებოთ

ჩენს თანამოძმეთ ყოველ დღე, ნებას არ მაძლევს, გულიდამ განვსდევნო ეს ფიქრები, მაშინდ უფრო და უფრო მმატებენ შიშსა და მაძრწოლებენ. შენ ხომ იცი ინკვიზიცია თანდათან ძლიერდება და შეიძის თვალთ სდარაჯობს ყველა ჩენს მოძმეს ყოველ ფეხის გადადგმაზე. ათასობლივ საიდულო ჯაშუშნი ჰყავთ, რომელნიც აკვირდებიან ყველა კაცის ქცევას; ვულ-მოდგინეუ ისმენენ რასაც-კი ვ-ნმე რამეს იტყვის. და თუ-კი ნახეს, ანუ ყურში ჩაეწვეთათ რამ, მსწრაფლ აცნობებენ ინკვიზიციას. ნუ თუ არ იცი, ჩენი მოძმეთაგანი რავდენი შეპყრეს ამ უკანასკნელ ხანებში? ნუ თუ არ იცი ის ტანჯვა-წვალება. რომელიც აიტანეს მღვდლების ხელში ჩაცვივნით, და მათი საშინელი სიკვდილი აუტო-და-ფე! ცეცხლში?

**ღონ აღონ.** ვიცი ვიცი ყველა ეგ! დიად, ძალიან დიდ საფრთხეში ვცხოვრობთ. საშინელი უბედურება დავატრიალებს თავს და ყოველ სა თს, ყოველ წუთს ფათერაკი მოგვალის- მაგრამ რა ვქნათ? რა ძალა გვაქვს? შენ თვითონ იცი, რავდენჯერმე ვცადე ამ ქვეყანას მოეშორებოდი, მინდოდა თავი გამერიღებინა, მაგრამ ჩემმა ს მკვიდროებამ და

საცხოვრებელში შემაყენა. აი, ახლა ამიტომ ვიწყე ნელ-ნელა მამულების გყიდვა, რომ არ მიმიხვდენ: მინდა მთელი ჩემი საცხოვრებელი ფულზე გადავხურღავო, რათა შემედლოს ოქრო გამოვკრა და თან წავიღო საცა წავალ. მართალია, კიდევ ბლომად გვჩება გაუყიდავი მამულები, მაგრამ—შენც იცი, მზათა ვარ მივატოვო ყველა ეს, თუ როგორმე მოვახერხებ ამ სისხლიან ქვეყნიდან გასვლა, რათა თავისუფლად ცხოვრება. უკბად რო მივატოვოთ ეს ქვეყანა—მაშინ მიგვიხვდებიან და ინკვიზიციას გადაგვცემენ. მაშასადამე, ისე უნდა მოვახერხოთ, როგორმე ჩუმად გავიპარნეთ. მაგრამ ამისთანა საქმეს ხელსაყრელი დრო სჭირია, და ეს დრო-კი ჯერ არ დამდგარა, ვნაიდან—შენ თვითონაცა სთქვი,—ინკვიზიციამ ძალა უფრო და უფრო მოიხვეჭა, თავისი მართველობა განაძლიერა, უნდა მოვიცადოთ და ვესავოთ უფალს: ის შეგვეწვევა და გვიხსნის ამ წყევულ ქვეყნიდან. (დადას წინ და უკან, ნაღვლიან ფიქრებში გაჩთუჯი).

**ღ-ნნა ლ-ურა.** (ახრავს მღუშარედ)  
 ნ ელიაშვილი—ბენ და ვიდ  
 (გაგრძელება იქნება)

\* \*

დაფარე გრძნობა, დაფარე ზრახვა,  
 დაფარე ტანჯვა, ბედით ხვდენილი:  
 არვის გაენდო, ჩაიკალ გულში  
 ობლათ იარე, ობლათ შთენილი!..  
 შენს ტანჯვას არვინ გაიზიარებს,  
 არ გამოგიწვდის იმედის ხელსა,  
 მწარე დაცინვით გაგატიალებს,  
 ფეხ ქვეშ გათელავს შენსა სახელსა!..  
 არარც კაცი აღამაინა,  
 ვის სხვის ტანჯვა მიაჩნდეს ჭირად,—  
 პირიქით შენსა მტარვალ-მწამებელს,  
 ის გაუხდება მოსარჩლე გზირად!..  
 დაფარე გრძნობა, დაფარე ზრახვა,  
 დაფარე ტანჯვა, ბედით გმობილო.—  
 არვის გაენდო, ჩაიკალ გულში,  
 ობლად იარე ობლად შობილო!..

**ღარია ახვლედიანისა**

### სააპრილო ოცნებიდან

მიყვარს აკაკის ოცნება,  
 რუსთველის სიმთა ეღერანი,—  
 სევდაა საქართველოსი  
 ჩემი ფიქრების მერანი!

და ვფიცავ, ვფიცავ მომავალს,  
 ვფიცავ სულით და გულითა,  
 მა-სავ კერპებზე ვილოცო  
 სამსხვერპლო სამკაულითა.

მაგრამ თუ ვერ ვთქვი ახალი,  
 თუ იქნა განმეორება—  
 მაშინ დადუნდით სიმებო:  
 სიკვდილი მეოამბორება!

სიმ წყველი

# თანამედროვე მსახიობი და მისი ტრაგედია

იხ. „თ. და ც.“ № 37

დიდი გზაღმართი იქნა თანამედროვე მსახიობზედ ახალმა ნატურალისტურმა თეატრმა. ნატურალისტურ თეატრში ზიესის „დადგმას“ უფრო დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, ვიდრე მსახიობის შემოქმედებას. ხშირად „დადგმა“ ზიესის მთლად ქვლავს ხელში და ავტორის შემოქმედებას მთლად რაღას თამაშობს. ეს ერთი მხრით სტენიური დეკორატივატობა გავლავთ. კარგეზულ ფორმის გადმერთება და შინაარსის მსხვერპლად შეწირვა! მაშ რა არის ეს „ახალი დადგმა“ კლასიკურ ზიესებისა, ეს „ანტიური თეატრის“ ადგენა თუ არა კარგეზული მხასულება და შინაარსის და იდეის დაღუბვა? აი ამ მიმართულების მთელი ზღადა: რენესანსტი, იუქსი, კრეგი, ეგრიტოვი, მარკსანიშვილი და სხვა. ყველა მათგანი უფრო კარგეზულ მხარეს „დადგმას“ აქვს ყურადღებას ვიდრე შინაარსს, ავტორს და მსახიობს. ჩვენ სრულიად არ ვართ იმის მოწინააღმდეგენი, რომ ზიესა შესაფერისად დაიდგას, მოეწოს კარგად. ზიესით, მას რისთვის გვიან და თანამედროვე განვითარებული ტენიკა თუ მას არ გამოვიყენებთ და არ ვასრულებთ, რაიც ასე სპირიტოა ყოველ ხელფან მსახიობის შემოქმედების შესამსუშუქებლად და სტენიურ იდეისთვის გამოსახატად? მადლობა დმერთს! დიდი ხანია წავიდ ის დრო, როდესაც დეკორაციის მავიერად გამოქვინებდნენ ხელში ფინარს ზედ წარწერთ: „ზღვას“, „ტეე“, „ცხე-დაბაზი“ და სხვა ახლანდელი ტენიკის წვალობით-კი ჩვენ ვხედავთ „ზღვას“ მის დღვას, მშენიერ ტეეს და ცხე-დაბაზსაც. მხოლოდ ყოველივე ამას ჩვენ ვხედავთ იმგვარი ბუნებრივობით, რაკორტ ხელფანების ფარგლებს შეუძლიან, მაგრამ თუ იქამდინ წავალთ რომ ნამდვილ ზღვის ადგილებს მოვიდამებთ და წვიმის მოყვანას, აქ ყოველგვარი ტენიკა უძღურის და თავის დღეში ნამდვილ ბუნებრივ იდეისვის ვერ შევქმნით და არც ესა სტენის დანიშნულება და მისწრაფება. ხელფანება-ყოველთვის ხელფანებად დარჩება და ცხორება-კი—ცხორებად.

ხელფანება და ცხორება, ეს სულ სხვა და სხვა და „შუა უძვეს დიდ ზღვარი“, სასტენო

ხელფანების ბუნებრივობა თვით მსახიობის შემოქმედებას, სდაც გესმით ნამდვილი ხმა, ნამდვილი ადამიანის დრტვირვა და კვრის, რამდისთვის ყოველივე სტენის კარგეზული მოწეობილობა მისი შემოქმედების გამოსახევის მასალა უნდა იყოს და არა იგი სტენისა. სტენიური იდეისთვის ეს ერთ-გვარი (მსახიობის შემოქმედებასთან ერთად) შთაბეჭდილების სისრულეა.

ამ სამის წლის წინად კრეგმა მოსკოვის სამხატვრო თეატრში დასდგა უ შექსპირის „ჭამლეტი“. კრეგის „დადგმა“ მარტით გათავდა და დიდებული ტრაგედია მთლად იმსხვერპლა. მთელი მოსკოვის საზოგადოება ქვირთობდა: საიდან გამოსდებნა ბ-ნმა კრეგმა ტანისამოსი, რომელ დროში, რომელ ეპოქაში იცვანდნენ ასე? არავითარი სტილი, არავითარი სრული იდეისთვის. მაგრამ „დადგმას“ ვინდა სხვის, მსახიობებიც თავის ჭკვასე წაყვანა. არც ერთი მათგანი თავის როლის დირსეული შემსრულებელი არ ყოფილა. სხვათა შორის ერთი კრიტიკოსი ქმლეტის როლის აღმსრულებელზე, ბ-ნ კანალოვი ასე სწერდა: „საწვალი, ბ-ნი კანალოვი. გვებრადება რომ ქმლეტის როლი რაკიანად ვერ გადაუთხნია. ნეტავ რას იქვითობდა მაშინ, როდესაც ახრილი იხსენიებდა ქმლეტის „სმინსა, ხუჭუჭსა თმასა“ და ბ-ნი კანალოვის კი ერთი რაღაც უცნაური, გაქმინდსავით შეკრეტილი თმა ამშვენებდა. შესრულების მრით არავფერი თავისი არ ქვინია. ყოველი ფხის გადადგმა, მიხვრა-მოხვრა რეჟისორისა იყო და არა მსახიობ კანალოვისა.“

აი მარტივი სურათი, თუ თანამედროვე რეჟისორს როგორ შესძლება დაამსახიროს ავტორი, ტენი და თვით მსახიობი. ჩვენ კი სულ სხვა გვარად გვწამს რეჟისორის მისისა და მას თავის დღეშიაჩ არ უარყოფთ.

თქმა არ უნდა ერთ უმთავრესთაგანს როდეს თამაშობს ზიესის შესრულებაში ყოველი რეჟისორი. მისი მოვალეობა უზირველესად, რასაც თვითხვე აღმერთებენ, ზიესის დადგმა; მან უნდა შექმინას ამა თუ იმ ზიესის ერთგვარი სტილი, ყოველი წერილმანი, მასიური სტენები გამოვალწინოს. აუღოს ზიესის ტემპი, მიმდინარეობა,

ნათელ ქეთს მისი დინამიკა და უოველ გარეგნულ მონასტულობაში გამოიხიბოს თავისი ესთეტიური გემოვნება. ვერც იმას ვიტყვით, რომ რეჟისორს არავითარი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს მსახიობთან. არა! რეჟისორის რჩევა, აზრი, მისი შესვლადობა ძალიანაც საჭიროა მსახიობისთვის სწორად სდება, რომ თუთ უნა ჰიერესი და გონიერი მსახიობი სცდება დასახელ ჰირონების შეგნება-გაკებაში, იგი ავტორის მიერ შექმნილ ტიპს შორდება, შეაქვს თავისი ინდივიდუალობა და ჰქმნის სრულიად სხვა ხატებს. შეიძლება მის მიერ შესრულებული რელი მსატრული იყოს, მაგრამ იმავე დროს კი აკლდეს სისრული და ავტორის იდეის თვალ საზრისით სინამდვილეს დაშორებული. აი, სწორედ ამ დროს არის საჭირო რეჟისორის დახმარება, რადგან თავისი აზრით, რჩევით მას შეუძლიან მსახიობს ბევრი ნაკლი ააშოროს თავიდან. მაგრამ თუ რეჟისორი ისე შეგბობავს მსახიობს, რომ ხარკიდან დაწვებული, ვიდრე ტანსაცმელად მისი ურდული და ბრძანებით იქნება შესრულებული მამის მსახიობი ნამდვილ ხელოვანის მაგივრად ნამდვილი ხელოვანი ხდება!

— უოველ მსახიობს უნდა წინაღვე ჰქონდეს ადვილხული თავისი რელი, გათვალსწინებული ადებული ჰირონება, მისი სულის კვთება და ვითარება, რათა მსატრულ ფარკლებში იქმნეს ჩამოვლიბებული მისი განსახიორებელი ტიპი. და ეს სრულიად არ შეგბობავს მსახიობის შემოქმედებს. ჰირიქით, იგი უფრო ძლიერი იქნება და ძლიერ ტრენდის წუთების შექმნაც შეუძლება, ვინაიდან მხოლოდ მამის შეუძლიან მსახიობს ტანჯვით შვას თავის შემოქმედება ჩინოქას მის ფიზიურ განცდაში და თავის ტემპერამენტის ვნებათა დედაში, რადგანც მის წინადაქმნის შესისხორცებული მთადად ავტორის მიერ დასურათებული ტიპი. უკეთუ ეს ასე არა ხდება, როგორც კინდა ციური ნაპერწყამები მოხელეს მსახიობს, მისი შემოქმედება მაინც მსატრულ კარტენტაციის მოკლებული იქნება.

ინამედროვე მსახიობი კი შეტად შებოკილი ჰეზუს თანამედროვე რეჟისორს. მსახიობი, თუ მარტო რეჟისორის უნარს, მის ჰრინცამებს ემყარება და თავისი არაფერი არა აქვს, იგი ვერაფერს შექმნის სხვისი საკუთრებიდან.

მისი შემოქმედება ლიტერატურული კომპილიაციის იქნება. მსახიობის შემოქმედება თავისუფალია ისე, როგორც უოველ ჰეშმარტ ხელოვანისა. ნუნ ვიტყვით უფრო მეტს: მისი შემოქმედება უფრო ძლიერია, ვიდრე თვით ჰოეტისა. რადგან ჰოეტა თქვენ ატაშოფთებთ ციე ეტრატზე, მოიყვანს ატრატებაში თქვენს გრძობა-გონებას, მამის რადესაც მსახიობი სრულიად გაშორებთ ფანტასტიურ გადატოორტინალ აღმაფრენას და წინ გიყენებთ ბუნების ნამდვილ ნაკვთს, ცაცხელ სურათს! არც ერთ ხელოვანს არ შეუძლიან დასჭამოს ადამიანის ჩერგება, [როგორც მსახიობს! არც ერთი ხელოვანი არ მოგიყვანთ, ისეთ თავდავიწყებით ექსტაზში, როგორც მსახიობი! არც ერთი ხელოვანი არ შეაშოფთებთ თქვენს სულსა და გულს ისე, როგორც მსახიობი! და ისიც იქნით მხედველობაში, რომ არც ერთის ხელოვანის შემოქმედება ასე არ არის ძელი, როგორც მსახიობის, რადგან როგორც სასწოვსკი ამბობს: „იგი სულ სხვა უნობ იხსტრუმენტზე უარავს და მისი ანამეტეველებული სიბუბი არის მისი გული და სული“.

ასეთია მთადლი და ტანჯვაში ნახარბი ნამდვილი მსახიობის შემოქმედება და თუ მას შეეცა სხვისა მოუხეშავი და ტლანქა ბული, როგორც მშენიერი ქანდაკება, დამისხერვა სრულიად და გაჭქრება მისი სილამაზე და სიშეხიერე! მამ. გზა! თავისუფალი და ფართო გზა მივით უოველ ჰეშმარტ ხელოვან მსახიობს, ვეუღამ თქვენ წმინდა ხელოვნების ჰატვის მტეუღნო!...  
გ გარნიკი

### ჩინებული აღმარდელი

**ისიდორე მირიანის ძე გიგინეიშვილი**  
როი კვირას მას შემდეგ, რაც სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ფრიად სიჭიერი ადამიანი, ისიდორე გიგინეიშვილი.

იგი ეკუთვნოდა იმ მცირე რჩეულთა რიცხვს, რომელთაც ხატათ დაუსახვო სამშობლო და მამნად მისი სამსახური. თუმცა ჰერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მაგრამ თავის ხანმოკლე სიცოცხლეში ბევრი რამ გააკეთა. იგი არ იყო მკვირდა „მამულიშვილი“, რომელსაც სიტყვა „სამშობლო“ მუღამ ენაზე აკერია და საქმით-კი სხვას ამტკიცებს.

დინჯი, ენერგიული, შეუდრეკელი და ნათელი მუშაობა ამისი სამშობლოს საკეთილდღეოდ უფლებების მისაბძ მატალითად დაწესდა.

იგი დაიბადა გურიაში — სოფ. ჭყურწყეთში, ზირველდაწყებოთი სწავლა თავისს სამშობლო სოფელში მიიღო, შემდეგ ბათუმის გიმნაზიაში შევიდა, რომელიც ზირველ მოწაფედ დაასრულა. გიმნაზიაში უფროს დროს იგი მარტო საგნების სწავლით არ კმაყოფილდებოდა.

გიმნაზიის დასრულების შემდეგ, ისიღორე პეტროვ ადის უნივერსიტეტში შევიდა ფილოლოგიურ ნაწილზე და ჩანებულადაც დაამთავრა.

სტუდენტობის დროს იგი ხარბათ დაეწევა დასავლეთ ეკრთვის დიტრატურას, რიცა საფუძვლიანად შეისწავლა.

იგი ცნობილი იყო თავისს ამხანაგებში, როგორც საუკეთესო მცოდნე და უკეთა პატივისცემით იზიარებდა მისს აზრს. მას, როგორც ფრად ნიჭიერს, იცნობდა სოციალური პროფესორიც და ბევრი ანტარში უწევდა.

გვანასის და არას დროს არ დაკავიწვდებოდა განსვენებულის შინაარსიანი ლექციები ხონის გურსებზე. იგი ჩანებული თრატორიც იყო და კარგ შინაარსთან ერთად კარგი ენით უმასხანძლებოდა მსმენელთ.

როგორც ზევით ვსთქვით, განსვენებულს ძლიერ უყვარდა სამშობლო, რისს საუფარულისაც ქადებდა ხალხში და მასწავლე თამბსაც უნერგავდა. თავისს მასწავლებლობის დროს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, ბევრი სასტავ და აღუსრდაც ამ რიკათ და მტკიცე ნიდატზე დაუუბებია. უყვარდა თავისი შეგორდები და ესენიც ერთგულ მამასავით შესტკეროდენ მას.

განსვენებულის მიწვრდობაში მონაწილეობდა. გრდემლითა და იბერელის ფსევდონიმებით; აგრეთვე საკუთარ სახელ გვარის მიწვრით "კოლხიდა"ს და "იმერეთა"ში ზედაგოიურ შინაარსის წიროლებს ათავსებდა.

იგი სახალხო მოღვაწეობითაც ცნობილი იყო და გულხკაცობა დიდს პატიუს სტემა, მკ მას ძლიერ აღიხებდა თვისი სოფლის გლეხების მწის სიეწროვე და მუდამ ჭქადებდა დიდ მკსაკუორეთ მიწების დანაწილების აზრს.

განსვენებულის დუღაღუო და კულწროველო მამულიშვილო ისიღორე შენი საუფარული სამშობლოს მიწა მშობლიური სიუფარულით მიგოსვენებს გულზე, შენი პაქური ცნობრებას მუდამ მისაბძ მატალითად დაწესდა შენს ნაწილობათ შორის.

ლავრენტი იმერელი



შალვა დადიანისა და ელო ანდრონიკა-შვილის გასტროლები და ხაშურში.

ხაშურის ქართული თეატრის საზამთრო სესონი ხვენმა ნიჭიერმა მსახიობმა ბ. შალვა დადიანმა დაიწყო და რადენიმე დღის განმავლობაში თრი შინაარსიანი წარმოდგენა მიუძღვნა სასოტადოებს: მარიამობისთვის 30 დასტაბრანდესის 2 მოქ. დრ. „სტუმარი“, რომელშიც უმთავრეს როლებს ქ. ელო ანდრონიკაშვილი და თვით დადიანი ასრულებდნენ. ენკენისთვის 3 დასტა 3 მოქ. ზიეს „შენი ჭირიშე“, ანუ რკალმის ნაქმეკარი, რომლის ავტორიც თვითონ შ. დადიანი ბრძანდება. ეს თრი ზიესა თვით დადიანის რეჟისორობით დაიდა, როლებიც ჩინებულად იყო განაწილებული ადგილობრვე სტენის მოყვარეთა შორის და როგორც კი შესაძლო და მოსახერხებელია ხახურის პატ რა სტენაზე, ზიესების მხატვრული მხარეც დაცული იყო. ხაშურის სტენას ნიჭიერი სტენის მოყვარეა ჭყავს და როდესაც მათ ისეთი გამოცდილი რეჟისორი ხელმძღვანელობს, როგორც არის შ. დადიანი, აო ხაშურის სათეატრო ხელოვნების მოყვარული სასოტადოებაც მამინ სტებება ხოლმე სუდიერად. შალვა დადიანის მიერ გამართულმა ამ ორმა წარმოდგენამ, მართლაც რამ სულიერი და ესთეტიური კმაყოფილება აკრძნობინა ადგილობრვე აუდიტორიას და ნიჭიერი რეჟისორი ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვეს. ორთავე წარმოდგენას ხალხი ბლემად დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. ბ. დადიანი კიდევ გამართავს რადენიმე წარმოდგენას ხაშურში და შემდეგეო, როგორც ეგვიტეთ, ბაქოს ანუ თბილისს გადავა.

ქ ელო ანდრონიკაშვილი და ბ. შალვა დადიანი ნიჭიერი მსახიობნი არიან, ქართული თეატრის უკეთესესი შვილი, ხელოვნებას თავდადებულნი მუშენი, ენერგიით აღჭურვილი ქურუმნი და აკი საქმითაც დავიშტკიცა: მიუღო საფხულის განმავლობაში დაბა სურამში. სტხოვრობდენ ვითომ დასსვენებულად, მაგრამ დასვენების

მაგიერ შრამა არ შეუწყვეტიათ და ჩვენს შრომის განხორციელების წარმოდგენებით უმასხინძლებდებოდნენ. სწორედ რომ პატივისცემის დიონისა თავდადებულად და თავის მოვალეობის საფეხურზე მდგომი მუშაკი და ეს პატივისცემა კიდევ დაამტკიცა სურათ-მასშტაბის სასოგადოებაში: უგულა, შაღვა და დიანის მიერ დადგენულ, წარმოდგენის ხაღხი ბლომად ესწრებოდა. რატომ უნდა ესტუმრის ძვირფასი მსახიობი მწერალი შრომის განხორციელების სიხარულით მიიღებენ მას. ჭეშმარიტად, ვისაც ხელფასება და შრომის წმინდის გულით უყვარს, შრომის განხორციელება იგი თავისი შრომის განხორციელების სიყვარულით. ნიკო გურული.

**დ სამბარდის** თეატრში დიდხანი არ არის, რაც შინაარსიანი პიესები იღვებოდა, ხალხი ბლომად ესწრებოდა. ბოლოს კი ბოროტ ადამიანთა მოწყალებით ეს საქმე შეფერხდა, ხალხი აღარ ეტანებოდა. მხოლოდ სანდრო კავსაძის მიერ გამართულმა კონცერტ-წარმოდგენამ მიიზიდა დიდხალი ხალხი, გამართა ლექციები, რომელსაც შედარებით ნაკლები ხალხი დაესწრო, განსაკუთრებით ვ.დ. მეფიანაძის ლექციას— „ხელოვნება და თეატრი“. სასურველი-კი იყო, ფართო მასა დასწრებოდა. ენკენისთვის 2 წარმოდგენილი იქნა 3 ირეთელის „დაპარცებულნი“. პიესა ცოცხლად, მოხდენილად და უნაკლებად ჩაატარეს; სცენის მოყვარულებს ეტყობოდათ მომზადება, რომელშიც რეჟისორ დ. კობახიძეს დიდი ღვაწლი მოუძღვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ თავთავიანთი როლებში ქ-ნის კობახიძისა (ქალიშვილი) და ურუშაძისა (ქალბატონი), შ. დოლიძე (მოსამსახურე) და კ. კრავიშვილი (მოწინავე მუშა). წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო. უსურვებთ აქაურ სცენის მოყვარულებს, ასეთი შინაარსიანი პიესებით შემდგომში გამასპინძლებოდნენ საზოგადოებას.

პ. ლესელი

**წერილი გვერდზე**

➤ **ვალ. გუნიან** ბათუმში 4 ენკენ. წარმოდგენის შემდეგ, დაფადმყოფებული ლოგინში წევს. მკურნალობს შ. მიქელაძე. ავადმყოფი წევს თვის ბინაზე (ვერის ხევში, ვერის დადართი № 3).

**ხიდადის დრამა.** წამ. საზამთრო სეზონს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით დღინობისთვის პირველებში დაიწყება.

➤ **მსახიობი ვ. არაბიძე**, როგორც ისმის, ბაქოს სამ. სალიტ. წრეს მიუწყვევია რეჟისორად.

➤ **მარტის** შესახებ სახალხო სახლში კავსამურ. სახ-ის თაოსნობით კრება შესდგა ენკენისთვის 14 სახ. სათათბიროს წევრის ვ. ა. რევესკის მონაწილეობით. დეპ. რევესკიმ კრებას მოახსენა, სათათბიროს განზრახვა აქვს 90 წ. ერობის დებულებანი შესცვალოს და ახალი შემოიღოს; ამიტომ შეუდგურებლად მიმართა მხარი დავუბირა 90 წ. დებულებას. ბ-ნ რევესკის საპასუხოდ მრავალ-მხრივ დასაბუთებული სიტყვები

წარმოსთქვეს მ. ვ. მაჩაბელმა, კიტა აბაშიძემ, ვ. დემიდოვმა, დ. გურამიშვილმა, დ. ე. ჩოლაყაშვილმა, სპ. კელიამ და სხ. განსაკუთრებით საუცხოვო იყო სიტყვა კიტა აბაშიძისა და მ. ვ. მაჩაბლისა, რომელნიც დამსწრეთ ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვეს. მოპა. სუბე-მოლაპარაკენი ხელურთხირად იმხდენ, სულ არაარობას გვიჯობს მოგვეთ 90 წ. დებულების ერობა ხლოო როცა რუსეთში ახალ ერობას შემოიღებენ, მა-ში იგი ჩვენშიაც გავრცელდეთო; თუ ჩვენი სიკეთე გინდათ და ერობის შემოღება მართლა გწალიათ, ასე მოქცევითო.—აგრედვე ილაპარაკეს ა. ი. ხატისოვმა და ბ. შაჩათუნმა, თათართა მხრით—ს. სულთანოვმა. უფრო ვრცლად შედეგ თავმჯდომარე, საერობო ბიუროს მდივნად მიიწვიეს.

➤ **ბ. თ. შორდანი**, ქართ კულტ-მოყვ-სახ-ის

➤ **ტუაგნოვის** დასი საერთისტო სახ-ის თეატრში წარმოდგენების მ.რთვას შეუდგა ენკენისთვის 10.

➤ **მოდო-იხრალმა**, სკრიპკაზე დამკვრელმა ხელოვნება და სიმფონიურ ორკესტრების ერთმა ლობ-ბართაგანმა ახალ კლუბში, თბილისელ საზოგადოების ყურადღება—პატივისცემა დაიმსახურა. უაღრეს დ განვითარებულ, მტკიცე, დაკვრეებული და ნიჭიერი მუსიკოსი თითქმის ერთხანის დირიჟებთაა შექმული: როგორც სკრიპკაზე დაკრის დიდი ოსტატი, აგრედვე როგორც ლობ-ბარი—მემუსიკეთა გუნდ-ს მმართველი ბენფისზე საზოგადოებამ ვარდ-ყვავილებით დაჯილდოვა, ახლმა კლუბმა საზამთრო სეზონისთვის მიიწვია, ხოლო ქართ. ფილ. სახ. სამუსიკო სკოლაში, როგორც აღნიშნული გვექონდა, ვიოლონის მასწავლებლად მი სმო.

**წერილი რედაქციის მიმართ**

ბ. რედაქტორო! ამასთან ვადგენ 5 მ 15 კ. შეკრებილს სოფელს ხაშში, ავსტრიაში ტყვედ მყოფ ჩვენ თანამემამულეთა გატირებულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გთხოვთ ფული გადასცეთ კუთვნილებისამებრ და ქვევით მოყვანილი სია შემომწირველთა მოთავსოთ თქვენს პატივცემულ ჟურნალში. შემოსწირეს: ათათი შაური: მღ. ხაბაზიშვილმა, ი. ყურკაციშვილმა, მ. ნახუცაროვისამ; ვ. სუბიტაშვილმა,— 30 კ. ა. ქოქრაშვილმა — 25 კ; თითო აბაზი: გ. მესხიშვილმა, გ. ჯარიაშვილმა, ის კვეყრაშვილმა. თ. ჩილინდრიშვილმა, დ. კიბაროშვილმა, ს. შვეკაციშვილმა, მ. მამისთვალთვამ, ი. თევდორაშვილმა, მ. ყურკაციშვილმა, მ. ტერედავიდოვმა. ა ხუროშვილმა ი. კიბაროშვილმა ი. კიბაროშვილმა, ს. შვეკაციშვილმა, ვ. ციციქურიშვილმა; და ი. მაღალდაძემ—10 კ. სულ 5 მ. 15 კ.

პატივისცემით ი. ბაძრაძე

ბ. რედაქტორო! გიჯავნით ოც მანეთს ხაშმის საკრედიტო ამხანაგობის მიერ გადაღებულს 1916 წლის მოგებიდან ქართველ გატირებულ აქარლების სასარგებლოდ. უმორჩილესად გთხოვთ ხსენებული ფული გადასცეთ, სადაც კუთვნილდეს. ხაშმის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე **მსტატე ლოლაძე**.

ზღმთა წერილები

შურ. „თეატრი და ცხოვრება“-ში(№ 33) ბ-ნი

გიორგი მერაბაშვილი მიწერს, ვითომც მე: ა) გადამეთხარს თამარ დედოფლის-ძიერ გაკეთებული ნიადაგი რუსხმული და მით უწყლოდ დამეტოვებინოს 27 დესეტნა სასოფლო მამული; ბ) წისქვილის რუგში ჩამეყარნოს ნერგებიწისქვილის საზიანოდა და გ) მომეშალნოს სასოფლო რუ,—ერთი სიტყვით თ თქვს მე: ელი სოფლის დაღუპვა მდომიზოდეს. რადგან ეს ბრალდება მართალი არ არის და საქმე სხვანაირადაა, ამიტომ სიმაართლის გამოსარკვევად, ბ. გიორგი მერაბაშვილს ვიწვევ სამედიატორო სამართალში. მტყუანმა მხარემ ერთი თუმანი გადაიხადოს ჟურნალის სასრგებლოდ. ჩემი მედიატორენი: იოსებ ბერბეკი-შვილი და ანტონ კორიკა-შვილი. ხუთ დღეს ვადას ვაძლეე ჟურნალში გამოცხადებინად და თუ სამართალში არ გამოიყვება, უფლებას ვიტყვებ შესაფერი სახელი ვუწოდო. მედ ატორეთა განაჩენი ამავე ჟურნალში უნდა დაიბეჭდოს

გლახა ესტატი ქეშელაშვილი

სასკენო სკუდოს ს. 6. ვოკო-ნოწის ხელმძღვანელობით.

მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე. 1, დიქციონარი და გრაფიკა; 2, მასწავლებლის და გიმნასტიკა; 3, თეატრის ისტორია, 4, ქართული ენა; 5, პრაქტიკული მეცადინეობა სტენოგრაფიაზე.

კლასთა შეტყობა შიძლება ოთხშაბათობით და კვირაობით ს.დ. 6-7 ს. კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახლში. ტელ. 8-43.

საზოგადოების საშუალებოვ

„ჩვენი გემოს“ კვანის ქარხანის გამგეობა აცხადებს მომხმარებელთა საყურადღებოდ, რომ „ჩვენი გემოს“ ამ ბოლო დროს ბევრი ყალბი იმიმპაქციელი გამოუჩნდა სარგებლობენ რა ჩვენი ფირმის დამსახურებული ნდობით, ამგზავსებენ თავიანთ ეტიკეტს ჩვენს ეტიკეტს და მით მსურთ მომხმარებლები შეცდომაში შეიყვანონ. განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევა ახალი ფირმა „ჩვენი ეს არის“, რომლის ეტიკეტი მეტაჟ როზხერბეზულად წაგავს ჩვენსას, მათ ხელს უწყობენ ზოგიერთი გამყიდველები, რომლებიც კაპეციებით დაინტერესებული „ჩვენი გემოს“ მაგიერ მუშტრებს „ჩვენი ეს არის“ აწვდიან. გთხოვთ გაუფრთხილდეთ სიყალბეს და მოითხოვთ ნამდვილი „ჩვენი გემოს“.

სამუსკო სკოლა თბ. ქარ-ფილარ

საზ. მოწაფეთა მიღება დაიწყო 26 აგვ. 10-2 ს-მდე დღისით და 5-7 ს-მდე საღამოით სკოლის კანტორაში. სლგეცივის ქუჩა, ზელინციისა 4 მასწავლებელთა სია: ფორტუიანოს კლასი: ე. დ. აბელია, მ. გ. ანდრონიკოვი-ციციანოვისა. 5. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ქიქოძე, ე. ი. მადატოვა-პოლტარაციისა, ე. ვ. ფოგელისა, ვიოლანი: მ. ტ. ვასილევ. ვი. პ. ა. ტიზენგაუზი, ვიოლანჩელი: გ. კაპელანი-კვიციანტრახისი: მ. პ. ნსკი, სიმღერა: მ. ა. კოლოტოვისა, თეორიის კლასები: ზ. პ. ფალიაშვილი; ხორთა: ზ. ი. იკვამე; ახალად მოწვეულნი არიან ვიოლანისა; სიმფონიკატორი: თეატრის სოლისტი მ. ა. ვოლოფ-იზრაილი და ფორტეპიანოს მასწავლებელი პეტროვარდის კონპრეპარაია დამთავრებული პროფეს. მეღმის კლასი: დ. თავისუფალი ხელოვანი ე. ნ. ალენკოვისა.

ახალი კლუბი 1 კვირის პროგ 18-52 ენკ.

- ორშაბათი — რუსული ოპერეტა
- სამშაბათი — სიმფონიური კონც.
- ოთხშაბ. სინემატოგრაფი.
- ხუთშაბ. — ქართ. წარმ. (უფას); საზანდარი
- პარასკ. — სინემატოგრაფი; მუსიკა.
- შაბ. — სიმფონიური კონ.
- კვირა — მუსიკა; სინემატ.
- დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ..
- წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 სა
- სომხსაშვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდინა: მანდილოსნები და ტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1 05.

ხარკოვის საზოგადო კლუბი

- (მიხეილის პროსპექტი, № 131)
- ერთი კვირის პროგრამა 18-ენკ.—25 ენკ
- კვირა — რუსული წარმოდგენა კაბარე
- ორშაბათი — ლომურად ან ეს ან ის
- სამშაბათი — სინემატოგრაფი სიმეგ. ორკ.
- ოთხშაბათი — ქართული წარმოდგენა; ბალეტი საშიყდრო — მუსიკა
- ხუთშაბათი — კონცერტი.
- პარასკევი — სინემატოგრაფი, სიმეგ. ორკეს.
- შაბათი — ქართული წარმოდგენა.
- კვირა — რუსული ოპერეტა.

წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა



რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა